

შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია
შპს ფინპორტის
ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

სრული შემოსულობების ანგარიშგება

კაპიტალის მოძრაობის უწყისი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანია და მისი ძირითადი საქმიანობა
2. მომზადების საფუძველი
3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა
4. ფული და ფულის ეკვივალენტები
5. გაცემული სესხები
6. საგადასახადო აქტივები
7. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები
8. ძირითადი საშუალებები
9. არამატერიალური აქტივები
10. მიღებული სესხები
11. გადასახდელი პროცენტები
12. გადასახდელი გადასახადები
13. პროცენტული შემოსავლები და ხარჯები
14. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები
15. დაკავშირებული მხარეები
16. საწარმოს უწყვეტობის განხილვა
17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

შპს „ფინპორტი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2018	01.01.2018
აქტივები			
ფული და ფულადი ექვივალენტები	4	36,872	94,791
გაცემული სესხები	5	312,996	684,677
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	2,442,863	1,872,306
საგადასახადო აქტივი	7	8,128	3,777
სხვა აქტივები		164	348
სულ მიმდინარე აქტივები		2,801,024	2,655,901
ძირითადი საშუალებები	8	92,491	121,638
არამატერიალური აქტივები	9	85,945	96,688
სულ გრძელვადიან აქტივები		178,436	218,372
სულ აქტივები		2,979,460	2,874,272
ვალდებულებები			
მიღებული სესხები	10	1,900,000	2,000,000
გადასახდელი პროცენტები	11	92,681	100,411
გადასახდელი გადასახადები	12	8,005	7,394
სხვა ვალდებულებები		42,066	23,720
სულ ვალდებულებები		2,042,754	2,131,527
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		950,014	950,014
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)		(13,308)	(207,269)
სულ კაპიტალი		936,706	742,745
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		2,979,460	2,874,272

დირექტორი
 გიორგი არაბიანი

30 სექტემბერი, 2019

თბილისი, საქართველო

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

მთავარი ბუღალტერი
 თეონა მოხევიშვილი

30 სექტემბერი, 2019

თბილისი, საქართველო

შპს „ფინპორტი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

შპს „ფინპორტი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2018	01.01.2018
აქტივები			
ფული და ფულადი ექვივალენტები	4	36,872	94,791
გაცემული სესხები	5	312,996	684,677
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	2,442,863	1,872,306
საგადასახადო აქტივი	7	8,128	3,777
სხვა აქტივები		164	348
სულ მიმდინარე აქტივები		2,801,024	2,655,901
ძირითადი საშუალებები	8	92,491	121,638
არამატერიალური აქტივები	9	85,945	96,688
სულ გრძელვადიან აქტივები		178,436	218,327
სულ აქტივები		2,979,460	2,874,228
ვალდებულებები			
მიღებული სესხები	10	1,900,000	2,000,000
გადასახდელი პროცენტები	11	92,681	100,411
გადასახდელი გადასახადები	12	8,005	7,394
სხვა ვალდებულებები		42,066	23,720
სულ ვალდებულებები		2,042,754	2,131,525
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		950,014	950,014
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)		(13,308)	(207,269)
სულ კაპიტალი		936,706	742,745
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		2,979,460	2,874,272

დირექტორი
 გიორგი არგბაიანი

30 სექტემბერი, 2019

თბილისი, საქართველო

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს



მთავარი ბუღალტერი
 თეონა მოხევიშვილი

30 სექტემბერი, 2019

თბილისი, საქართველო

შპს „ფინპორტი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშებო ვალუტა ლარი

სრული შემოსულობების ანგარიშგება

	შენიშვნა	12 თვე, 2018 წ.
საპროცენტო შემოსავალი	13	-
საპროცენტო ხარჯი	13	(213,611)
წმინდა პროცენტული შემოსავალი		(213,611)
 შემოსავალი ჯარიმებიდან		538,964
 საოპერაციო შემოსავალი		325,352
საკომისიო შემოსავალი		139,914
საკომისიო ხარჯი		(257)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	14	(194,482)
მოგება(ზარალი) ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან		680
სესხების გაუფასურების რეზერვიდან მიღებული შემოსავალი/(ხარჯი)		(75,855)
შემოსავალი/(ზარალი) სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		84.78
სხვა შემოსავალი		1,136
სხვა ხარჯები		(2,613)
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე		193,960
 მოგების გადასახადი		-
მიმდინარე წლის სრული შემოსავლები		193,960

დირექტორი
 გიორგი არაბიანი

30 სექტემბერი, 2019
 თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი
 თეონა მოხევიშვილი

30 სექტემბერი, 2019
 თბილისი, საქართველო

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს „ფინპორტი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

შპს „ფინპორტი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

სრული შემოსულობების ანგარიშგება

	შენიშვნა	12 თვე, 2018 წ.
საპროცენტო შემოსავალი	13	-
საპროცენტო ხარჯი	13	(213,611)
წმინდა პროცენტული შემოსავალი		(213,611)
შემოსავალი ჯარიმებიდან		538,964
საოპერაციო შემოსავალი		325,352
საკომისიო შემოსავალი		139,914
საკომისიო ხარჯი		(257)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	14	(194,482)
მოგება(ზარალი) ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან		680
სესხების გაუფასურების რეზერვიდან მიღებული შემოსავალი/(ხარჯი)		(75,855)
შემოსავალი/(ზარალი) სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		84.78
სხვა შემოსავალი		1,136
სხვა ხარჯები		(2,613)
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე		193,960
მოგების გადასახადი		-
მიმდინარე წლის სრული შემოსავლები		193,960

დირექტორი
 გიორგი არაბიანი

30 სექტემბერი, 2019
 თბილისი, საქართველო



მთავარი ბუღალტერი
 თეონა მოხევიშვილი

30 სექტემბერი, 2019
 თბილისი, საქართველო

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

კაპიტალის მოძრაობის უწყისი

	საწესდები კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისათვის	950,014	(207,269)	742,745
წმინდა მოგება/(ზარალი)	-	193,960	193,960
ინვესტიცია საკუთარ კაპიტალში	-	-	-
წინა პერიოდის კორექტირება		-	
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისათვის	950,014	(13,309)	936,706

დირექტორი
 გიორგი არაბიანი

30 სექტემბერი, 2019
 თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი
 თეონა მოხევიშვილი

30 სექტემბერი, 2019
 თბილისი, საქართველო

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს „ფინპორტი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

კაპიტალის მოძრაობის უწყისი

	საწესდები კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისათვის	950,014	(207,269)	742,745
წმინდა მოგება/(ზარალი)	-	193,960	193,960
ინვესტიცია საკუთარ კაპიტალში	-	-	-
წინა პერიოდის კორექტირება	-	-	-
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისათვის	950,014	(13,309)	936,706

დირექტორი
 გიორგი არაბიანი

30 სექტემბერი, 2019
 თბილისი, საქართველო



მთავარი ბუღალტერი
 თეონა მოხევიშვილი

30 სექტემბერი, 2019
 თბილისი, საქართველო

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფინანსური ანგარიშების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანია და მისი ძირითადი საქმიანობა

შპს „ფინპორტი“ (შემდგომში – „ორგანიზაცია“) დაფუძნდა 2016 წლის 19 აგვისტოს საიდენტიფიკაციო კოდი: 404518330, მარეგისტრირებული ორგანო არის სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, რეგისტრაციის #B16116614,, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, თამარ მეფის გამზირი, №13. ორგანიზაციის დამფუძნებლები არიან: ტიტალ დასენი (პ/ნ 01025005903) - 75%, ადელინა სადოიან (პ/ნ 71 6549968, 01201125706) - 25%.

ორგანიზაციის ძირითად საქმიანობას 2017 წლის 14 ივლისამდე წარმოადგენდა ონლიან სესხების გაცემას. ამ ეტაპზე კომპანია დაკავებულია უკვე გაცემული სესხების ამოღებით.

2. მომზადების საფუძველი

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად(შემდგომში „მსს ფასს“) რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე(რომელიც გამოიყენება მსს ფასს 35-ე განყოფილების „მსს ფასს-ზე გადასვლა“-ფარგლებში)

კომპანია ნათლად და უპირობოდ აცხადებს რომ :

- მას წინა პრიოდებში საერთოდ არ წარუდგენია ფინანსური ანგარიშგება და მსს ფასს-ის პირველადი გამოყენების თარიღი არის 2018 წლის 01 იანვარი

ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს გამოყენებული მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია ქვემოთ არის წარმოდგენილი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება შედგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ფინანსური ანგარიშგების პაკეტი მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, სრული შემოსავლების ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებასა და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს 2018 წლის 1 იანვრის შესადარის იფორმაციას, მოგება-ზარალი შეიცავს 2018 წლის ინფორმაციას, კომპანია სარგებლობს შეღავათითი და მოცემულ ფინანსურ ანგარიშგების წარდგენისას არ წარადგენს შესადარის ინფორმაციასა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას.

3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1 ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და შეფასება

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ასახვა ორგანიზაციას ბალანსზე ხდება მაშინ, როდესაც ორგანიზაცია ხდება ხელშეკრულების მონაწილე შესაბამის ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარება ხდება ანგარიშსწორების თარიღის მდგომარეობით. ფინანსური ინსტრუმენტების რეგულარული ხასიათის მქონე შესყიდვები, რომლებიც შემდგომში შეფასდება გაყიდვისა და ანგარიშსწორების დღეებს შორის სამართლიანი ღირებულებით, აღირიცხება შესყიდული ინსტრუმენტების ანალოგიურად.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხდება სამართლიან ღირებულებას პლუს, თუ ფინანსური აქტივი ან ვალდებულება არ არის სამართლიანად ასახული მოგება-ზარალის გატარებით, ის დანახარჯები რომლებიც უშუალოდ მიეკუთვნება ფინანსურ აქტივთან და ვალდებულებასთან დაკავშირებულ გარიგებას. აღნიშნული აქტივების და ვალდებულებების გადაფასების პოლიტიკა აღწერილია ბუღალტრული აღრიცხვის ქვემოთ მოყვანილ პრინციპებში.

3.2 ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს.

3.3 კლიენტებზე გაცემული სესხები

კლიენტებზე გაცემული სესხები წარმოადგენს არა-დერივატულ აქტივებს, ფიქსირებული, ან განსაზღვრული ფასებით, რომელიც არ არის კოტირებული მზარდი მოთხოვნილების ბაზარზე, გარდა სხვა ფინანსური აქტივების კატეგორიებში კლასიფიცირებული აქტივებისა.

3.4 ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩამოწერა

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები (ან სადაც შეესაბამება ფინანსური აქტივების ნაწილი, ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილი) ჩამოწერას ექვემდებარება როდესაც:

- აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლების ვადა ამოიწურა;
- ორგანიზაციამ აქტივებიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება გადასცა, ან უფლება დაიტოვა, მაგრამ აიღო ვალდებულება „გადაცემის წესის“ საფუძველზე სრულად გადაუხადოს მესამე მხარეს მნიშვნელოვანი დაგვიანებების გარეშე; და

- ორგანიზაციამ ან (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველანაირი მოგება და ზარალი, ან (ბ) არ გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველანაირი მოგება და ზარალი, თუმცა გადასცა აქტივების კონტროლი.

ფინანსური აქტივები ჩამოიწერება, როდესაც გადაიცემა და გადაცემა წარმოადგენს ჩამოწერას. გადაცემა მოითხოვს, რომ ორგანიზაციამ ან: (ა) გადასცეს აქტივებიდან ფულადი სახსრების მიღების კონტრაქტით გათვალისწინებული უფლება მესამე მხარეს; ან (ბ) იტოვებს უფლებას, მაგრამ იღებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებას გადაუხდის მესამე მხარეს ეს ფულადი სახსრები. გადაცემის შემდეგ ორგანიზაცია აფასებს გადაცემული აქტივის ფლობისას მიღებულ მოგებასა და ზარალს. თუ ძირითადად ყველა მოგება და ზარალი რჩება, მაშინ აქტივი აისახება ბალანსში. თუ ძირითადად ყველა მოგება და ზარალი გადაეცემა, მაშინ ხდება აქტივის ჩამოწერა. თუ ძირითადად ყველა მოგება და ზარალი არც გადაეცა და არც შენარჩუნდა, ორგანიზაცია აფასებს რამდენად შეინარჩუნა აქტივის კონტროლი. იმ შემთხვევაში თუ კონტროლი არ შენარჩუნდა აქტივი ექვემდებარება დაქვითვას. იმ შემთხვევებში სადაც აქტივის კონტროლი შენარჩუნებულ იქნა იგი აგრძელებს აქტივის აღიარებას მისი უწყვეტი მონაწილეობის გათვალისწინებით.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ჩამოწერას ექვემდებარება, როდესაც ვალდებულება სრულდება, გაუქმდება, ან გასდის ვადა.

სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება, ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების ჩამოწერად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა ნარჩენ ღირებულებებს შორის აისახება მოგება-ზარალის უწყისში.

3.5 ძირითადი საშუალებები და ცვეთა

ძირითადი საშუალებები მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს ცვეთა. ისტორიული ღირებულება მოიცავს თანხებს, რომლებიც გაწეულია ამ აქტივების შეძენაზე. შემდგომი ხარჯები აისახება აქტივის შესაბამის მუხლებში ან ხდება მათი აღრიცხვა(აღიარება) ცალკეულ აქტივად იმ შემთხვევაში, თუ ნათელია, რომ მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაცია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება შესაძლებელია. აქტივების რემონტისა(შეკეთებისა) და შენახვის ღირებულება აისახება შემოსავლების უწყისში მათი წარმოჩენის პერიოდების მიხედვით.

ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება ნარჩენი ღირებულების მეთოდით.

ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოიქვითება აქტივების საბალანსო ღირებულებიდან და გამოიყენება აქტივების ჩამოსაწერად მათი ექსპლუატაციის ვადის ამოწურვამდე. ცვეთისა და ამორტიზაციის გაანგარიშება წარმოებს ნარჩენი ღირებულების მეთოდის გამოყენებით შემდეგი წლიური განაკვეთების გამოყენებით:

საოფისე და კომპიუტერული აღჭურვილობა	20%
ავეჯი და სხვა ინვენტარი	20%
სხვა ძირითადი საშუალებები	20%
სატრანსპორტო საშუალებები	15-20%
კაპიტალური დანახარჯები იჯარით აღებული ობიექტის მიხედვით	15%

3.6 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ ა) მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაცია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და ბ) შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. ამორტიზაცია გამოანგარიშებულია წრფივი მეთოდის გამოყენებით, წლიური 10%-იანი განაკვეთით.

3.7 კრედიტორული დავალიანება

კრედიტორული დავალიანება აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

კრედიტორული დავალიანება რომლის დაფარვის ვადა ბალანსის შედგენის თარიღიდან ერთ წელზე მეტია აისახება როგორც გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანება.

3.8 კაპიტალი

კაპიტალი მოიცავს საკუთარ კაპიტალსა და გაუნაწილებელ მოგება (ზარალს).

დივიდენდი აღიარდება როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი გაცემა გამოცხადებული იყო ბალანსის შედგენის თარიღისათვის.

3.9 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება შესაბამისი საანგარიშებო პერიოდის დასრულებისთვის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს საგადასახადო კოდექსში განრხორციელებული ცვლილებების შედეგად შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი რომელიც ყველა პირისთვისცგარდა გარკვებული გამონაკლისებისა ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

ახალი ე.წ. „ესტონური“ მოდელის მიხედვით კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან(რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების ან სხვა ფორმით(მანამდე არსებული მოდელის მიხედვით კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება)

3.10 შემოსავლები

საპროცენტო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

საპროცენტო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით და აისახება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი, წარმოადგენს მეთოდს, რომელიც ეფუძნება ფინანსური აქტივის, ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების და ან ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზირებულ ღირებულებას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების გადახდების, ან შემოდილების დისკონტირებას ფინანსური აქტივის, ან ფინანსური ვალდებულების წმინდა მიმდინარე ღირებულებამდე ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო სასარგებლო მოხმარების პერიოდის ამოწურვამდე, ან თუ მისაღებია, უფრო მოკლე ვადაში.

მას შემდეგ, რაც ფინანსური აქტივი, ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფი ჩამოიწერება (ნაწილობრივ ჩამოიწერება) გაუფასურების შედეგად მიღებული ზარალის გამო, საპროცენტო შემოსავლის აღიარება იმ საპროცენტო განაკვეთით ხორციელდება, რომელიც გაუფასურების დანაკარგების დადგენის მიზნით მოსალოდნელი ფულადი სახსრების დისკონტირებისათვის გამოიყენება.

3.11 ხარჯები

ორგანიზაცია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ.

3.12 საკომისიო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

სესხის საკომისიო გადასახადი ექვემდებარება გადავადებას პირდაპირ ხარჯებთან ერთად და კორექტირდება სესხის ეფექტურ ამონაგებზე. სადაც შესაძლებელია რომ სასესხო ვალდებულებამ წარმოშვას კონკრეტული სასესხო ხელშეკრულების გაფორმება, სასესხო ვალდებულების საკომისიო გადავადდება დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებთან ერთად და კორექტირდება სესხის ეფექტურ ამონაგებზე. სადაც შეუძლებელია რომ სასესხო ვალდებულებამ წარმოშვას კონკრეტული საკრედიტო ხელშეკრულების გაფორმება, სასესხო ვალდებულების საკომისიოს აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშში სასესხო ვალდებულების დარჩენილი პერიოდის განმავლობაში. როდესაც სასესხო ვალდებულების ხელშეკრულების ვადა იწურება სესხის გაცემამდე სასესხო ვალდებულების საკომისიოს აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშში ვადის ამოწურვის დღეს. სასესხო მომსახურების საკომისიოს შემოსავლად აღიარება ხდება მომსახურების გაწევის დროს. ყველა სხვა საკომისიოების აღიარება ხდება მომსახურების გაწევისას.

3.13 უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება ქართულ ლარებში ოპერაციის დღისთვის დადგენილი კურსების შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში დომინირებული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება ლარებში ფინანსური ანგარიშგების შედგენის დღეს არსებული გაცვლითი კურსების შესაბამისად. საკურსო სხვაობებიდან მირებული ფინანსური შედეგი აისახება იმ პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში როდესაც ის წარმოიშვა.

ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ორგანიზაციამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ლარი/1 აშშ დოლარი	2.6766	2.5922
ლარი/1 ევრო	3.0701	3.1044

შენიშვნა 4 -ფული და ფულის ეკვივალენტები	31.12.2018	01.01.2018
ლარები საბანკო ანგარიშებზე	34,063	92,063
აშშ დოლარი საბანკო ანგარიშებზე	185	187
ევროები საბანკო ანგარიშებზე	2,623	2,540
სულ	36,872	94,791
ნაღდი ფული სალაროში ლარებში	-	-
ნაღდი ფული სალაროში აშშ დოლარებში	-	-
ნაღდი ფული სალაროში ევროებში	-	-
ნაღდი ფული სალაროში თურქულ ლირებში	-	-
ნაღდი ფული სალაროში რუსულ რუბლებში	-	-
სულ	-	-
სულ ფულადი სახსრები	36,872	94,791

შენიშვნა 5 - გაცემული სესხები

ორგანიზაცია ფიზიკურ პირებზე გასცემდა ონლაინ არაუზურნველყოფილ სესხებს, 2017 წლის 14 ივლისამდე.

	31.12.2018	01.01.2018
მიმდინარე სესხები	1,369,076	1,679,947
მისაღები პროცენტები	167,745	188,186
გამოკლებული: სესხის რეზერვი	(1,223,825)	(1,183,457)
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	312,996	684,677

შპს „ფინპორტი“
 ფინანსური ანგარიშების ახსნა-განმარტება
 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშებო ვალუტა ლარი

სესხის პორტფელი ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით

	2018		2017	
	თანხა	%	თანხა	%
სამომხმარებლო სესხები	312,996	100%	684,677	100%
სულ კლიენტებისათვის გაცემული სესხები	312,996		684,677	

სესხის პორტფელი სეგმენტაციის მიხედვით

	2018		2017	
	თანხა	%	თანხა	%
ფიზიკური პირები	312,996	100%	684,677	100%
სულ	312,996		684,677	

შენიშვნა 6 - საგადასახადო აქტივები

	31.12.2018	01.01.2018
წინასწარ გადახდილი საშემოსავლო გადასახადი	4,703	-
წინასწარ გადახდილი უკუდაბეგვრის დღე	573	573
წინასწარ გადახდილი სხვა გადასახადები	2,852	3,204
სულ	8,128	3,777

შენიშვნა 7 - სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	31.12.2018	01.01.2018
წინასწარ გადახდილი სასამართლო ხარჯები	134,877	23,523
ავანსები	3,646	10,719
მისაღები ჯარიმები	2,301,682	1,835,997
სხვა დებიტორული დავალიანებები	2,657	2,066
სულ	2,442,863	1,872,306

შპს „ფინპორტი“

ფინანსური ანგარიშების ახსნა-განმარტება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშებო ვალუტა ლარი

შენიშვნა 8 -ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა- ნაგებობები	კომპიუტერული ტექნიკა	ავეჯი და მოწყობილობები	სხვა აქტივები	იჯარით აღებულ ობიექტზე გაწეული კაპ. დანახარჯები	სულ
საერთო ღირებულება							
ბალანსი 31.12.2017	-	-	132,908	15,704	2,692	400	151,704
დანამატები	-	-	-	-	-	-	-
აქტივების გასვლა	-	-	(1,762)	(4,541)	(725)	(400)	(7,428)
ბალანსი 31.12.2017	-	-	131,146	11,163	1,967	-	144,267
დაგროვილი ცვეთა							
ბალანსი 31.12.2017	-	-	(26,763)	(2,794)	(418)	(46)	(30,021)
ცვეთა პერიოდისათვის	-	-	(21,302)	(2,035)	(446)	(65)	(23,848)
გასული აქტივების ცვეთა	-	-	642	1,125	206	111	2,084
ბალანსი 31.12.2018	-	-	(47,423)	(3,704)	(657)	-	(51,784)
წმინდა ღირებულება							
ბალანსი 31.12.2017	-	-	106,145	12,909	2,274	353	121,681
ბალანსი 31.12.2018	-	-	83,722	7,458	1,309	-	92,491

შენიშვნა 9 - არამატერიალური აქტივები

	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
საერთო ღირებულება		
ბალანსი 31.12.2017	107,431	107,431
დანამატები	-	-
ბალანსი 31.12.2018	107,431	107,431
დაგროვილი ცვეთა		
ბალანსი 31.12.2017	(10,743)	(10,743)
ცვეთა პერიოდისათვის	(10,743)	(10,743)
ბალანსი 31.12.2018	(21,486)	(21,486)
წმინდა ღირებულება		
ბალანსი 31.12.2017	96,688	96,688
ბალანსი 31.12.2018	85,495	85,495

შენიშვნა 10 - მიღებული სესხები

	31.12.2018	01.01.2018
<i>სესხები ადგილობრივი კომერციული ბანკებიდან</i>		
აშშ დოლარი	-	-
სულ	-	-
<i>სესხები ფიზიკური პირებისგან</i>		
ლარი	1,900,000	2,000,000
აშშ დოლარი	-	-
ევრო	-	-
სულ	1,900,000	2,000,000
სულ მიღებული სესხები	1,900,000	2,000,000

შენიშვნა 11 - გადასახდელი პროცენტები

	31.12.2018	01.01.2018
გადასახდელი პროცენტები ფიზიკური პირებისათვის ლარებში	92,681	100,412
სულ	92,681	100,412

შენიშვნა 12 - გადასახდელი გადასახადები

	31.12.2018	01.01.2018
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	7,627	6,312
სხვა გადასახდელი გადასახადები	377	1,082
სულ გადასახდელი გადასახადები	8,005	7,394

შენიშვნა 13 -პროცენტული შემოსავლები და ხარჯები

	31.12.2018
პროცენტული შემოსავალი	
ბანკებში განთავსებული სახსრები	-
ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები	-
იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები	-
შემოსავლები ჩამოწერილი სესხებიდან	-
მთლიანი პროცენტული შემოსავალი	-
პროცენტული ხარჯი	
ბანკებიდან მიღებული სესხები	-
ფიზიკური პირების სესხები	(213,611)
მთლიანი პროცენტული ხარჯი	(213,611)
წმინდა პროცენტული შემოსავალი	(213,611)

შენიშვნა 14 - ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

31.12.2018

იჯარა	21,815
ხელფასის ხარჯები	77,743
საკონსულტაციო ხარჯები	688
ცვეთის ხარჯები	36,238
კომუნიკაციის ხარჯები	16,205
კომუნალური ხარჯები	5,836
მივლინების ხარჯები	438
საკანცელარიო ხარჯები	423
სხვა ხარჯები	35,096
სულ	194,482

შენიშვნა 15 - დაკავშირებული მხარეები

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში არ ყოფილა ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.

შენიშვნა 16 - საწარმოს უწყვეტობის განხილვა

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ ორგანიზაციის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვთ ორგანიზაციის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

შენიშვნა 17 - ბალანსის შემდგომი მოვლენები

2019 წლის 8 აგვისტოს ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით შპს ფინპორტის სტატუსი შეიცვალა და გახდა სესხის გამცემი სუბიექტი.